



### წვრთნები დასრულდა

სამხედრო წვრთნები, კოლური სახელწოდებით „კავკასიონი 2006“, ორფოლოს პოლიგონზე თენახვერის წინ დაიწყო და 15 ივლისს საზღვრულ დაიხურა. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შემავალბებელ სარტყელზე წვრთნებში რვა ათასამდე სამხედრო მონაწილეობდა. სათანახვერისა და სწავლებისას გამოყენებულ იქნა ავიაცია, არტილერია და მძიმე ტექნიკა.

#### ვარიკო თაყვაძე

დახურვის საზეიმო ღონისძიებას მთავარსარდალი - საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, შვიარალბული ძალების გენშტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ორფოლოს მანევრები ხელი-სუფლების წარმომადგენლებმა ერთხმად შეაფასეს, როგორც წარმატებული და იმედის მომცემი. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში მოკლე დროში „შეძლო დასავლური სტანდარტების შვიარალბული ძალების ფორმირება“. პრეზიდენტი ამაყობს ჩვენი ჯარის წარმატებებით და, იმავდროულად, შენიშნავს, რომ დღეს ქართული არმია მთავარი გამოცდის წინაშე დგას: „მთავარი გამოცდა წინ გვაქვს, მთავარი საფრთხეები ჯერ კიდევ არსებობს...“

„ორფოლოს სწავლება პოზიტიურად უნდა განახილოთ, - განაცხადა ჩვენი სა-საზღვროსა და ექსპერტმა სამხედრო

საკითხებში კობა ლიკლიკაძემ, - რაც ყველაზე მისასალმებელია, ეს იყო პირველი მასშტაბური სწავლება 2002 წლის შემდეგ, როცა რეზერვისტები და მოქმედი არმია ერთად გაყოფიდა. 2002 წლის პანკისის ანტიტერორისტული ოპერაციაში რეზერვისტები პირველად გაიწვიეს. ბევრი მათგანი არმიის დარჩა და რეზერვისტები და არმიელები ერთად იყვნენ დაბანაკებულნი პანკისის სოფლებში.“

კობა ლიკლიკაძის განმარტებით, ამ თენახვერის განმავლობაში საზოგადოებას სწავლების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. „სწავლების თაობაზე არაფერი ვიცოდით, რაც ცხინვალს სპეკულაციების და ვარაუდების საფუძველს აძლევდა... წვრთნებში მონაწილე ჯარისკაცის მშობლებმა უნდა იცოდნენ, სად იმყოფებიან მათი შვილები.“

კობა ლიკლიკაძის აზრით, ხსენებული პრობლემის მოგვარებას სჭირდებოდა, სულ რაღაც, ნახევარგვერდიანი პრესრელიზი, რომელიც საზოგადოებას აუცილებელ განმარტებებებს მიხედვით, აქვს არის ნორმალურ ქვეყნებში აპრობირებული საინფორმაციო მუშაობის პრაქტიკა, - დასძინს ლიკლიკაძე.

### სასწავლო პროგრამის განხილვა

ტაბახმელაში, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის განხილვა გაიმართა. ვინაიდან, ყველაზე დიდი კონკურსი ამ ფაკულტეტზეა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ 2006 წლის სასწავლო პროგრამის განხილვა, სწორედ ფილოლოგიის ფაკულტეტისგან დაიწყო. განხილვაში მხოლოდ იმ სპეციალისტებმა მიიღეს მონაწილეობა, ვისაც ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან აქვს შესება. „შეხვედრა-სემინარის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ მოგვეჩვენა ნეტ-ნაკლებად ნეიტრალური თემა და მოგვეჩვენა პროფესორ-მასწავლებლები თავიანთი აზრისა, თუ შენიშვნების დასაფიქსირებლად. ვფიქრობდით, რომ ამ სახით ჩვენი ოპონენტებიც შეძლებდნენ თავიანთი პოზიციის გაზიარებას. მათი ნაწილი დაესწრო განხილვას, ნაწილი - არა. ასეთი შეხვედრები სექტემბრამდე სხვა ფაკულტეტებისთვისაც მოეწყობა.“ - აღნიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვია ზუბუაძემ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე თლის, რომ

საჭირო იყო მისი შეხვედრა-სემინარზე დასწრება. „სხვადასხვა ჯგუფებმა იმუშავეს ამ პროგრამის შედგენაზე. მიმდინარეობდა კოლექტიური დისკუსია, სადაც გაითვალისწინეს ჩვენი აზრი. ზოგი საგანი არჩევითიდან ძირითადი საგნების ჩამონათვალში გადაიტანეს. ერთი სიტყვით, რაც დავასაბუთეთ, იმაზე კამათი არ ყოფილა.“ - აღნიშნა მარიკა ლორთქიფანიძემ.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ჩიჭოვანმა განაცხადა, რომ პროფესორ-მასწავლებლების შენიშვნები პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილში გაზიარებული იქნა, თუმცა პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსის დასრულების შემდეგ, პროგრამის სავარაუდოდ კორექტივები შევა. ტაბახმელაში არ იმყოფებოდა პროფესორი გრიგორ ფარულავა. „მას ვთხოვეთ შეხვედრაზე დასწრება, რათა თუ რაიმე შენიშვნა ექნებოდა აქეთვა. როგორც ჩანს, მისთვის მინტინგზე ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალურ პრობლემებზე მუშაობა.“ - აღნიშნა ვია ზუბუაძემ.

24 საათი

# რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორბანიზაციის მიღმა

პირველი გავრცელება

განვერთანების შანსის ხელიდან გაშვების შემდეგ კი რუსული ოფიციალური აშშ-ს მიერ შეტყობინებულ მალაღობრივ სტანდარტების დანერგვის შესახებ აღაპარაკდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც ოფიციალური გამომგონი აღნიშნავს, ეს სტანდარტები ყველაზე სხვადასხვა სახელმწიფოების მიმართ. როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ენერჯის დიდი დეპარტამენტის რუსულ მხარეს, მაგრამ რუსეთისთვის კიდევ ერთი ბერკეტის ხელში ჩაგდებას, რუსი მაღალჩინოსნები იმსახვად აღნიშნავენ, რომ ოფიციალური მოსკოვი მზად იყო, ანერჯული კომპანიისთვის „ConocoPhillips“ ბარნეფუძველს აძლევდა... წვრთნებში მონაწილე ჯარისკაცის მშობლებმა უნდა იცოდნენ, სად იმყოფებიან მათი შვილები.“

კობა ლიკლიკაძის აზრით, ხსენებული პრობლემის მოგვარებას სჭირდებოდა, სულ რაღაც, ნახევარგვერდიანი პრესრელიზი, რომელიც საზოგადოებას აუცილებელ განმარტებებებს მიხედვით, აქვს არის ნორმალურ ქვეყნებში აპრობირებული საინფორმაციო მუშაობის პრაქტიკა, - დასძინს ლიკლიკაძე.

ვაში, თუკი მოლაპარაკებები ჩიხში შევიდოდა. ამასთან დაკავშირებით კი ბუშის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ასეთი დათმობა არასამართლიანი გარიგება იქნებოდა ორგანიზაციის სხვა წევრების თვალში, ამდენად ეს იდეა თავიდანვე უარყოფილ იქნა.

„მსოფლიო სავაჭრო ორბანიზაციაში განვერთანება სერიოზული ნაბიჯია და რუსეთმა იგი სწორად უნდა გადადგას.“ - აღნიშნა მოსკოვში მოლაპარაკებებზე ჩასულმა აშშ-ს ვაჭრობის სფეროს წარმომადგენელმა სუზან შვებამა.

მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების კიდევ უფრო დიდი იმედს ჰქონდა რუსულ მხარეს, მაგრამ რუსეთისთვის კიდევ ერთი ბერკეტის ხელში ჩაგდებას, რუსი მაღალჩინოსნები იმსახვად აღნიშნავენ, რომ ოფიციალური მოსკოვი მზად იყო, ანერჯული კომპანიისთვის „ConocoPhillips“ ბარნეფუძველს აძლევდა... წვრთნებში მონაწილე ჯარისკაცის მშობლებმა უნდა იცოდნენ, სად იმყოფებიან მათი შვილები.“

## სარბი ლავროვის მორიგი ბრალდება

ქართული მხარე აჭიარებებს პასუხს აფხაზეთის კონსტრუქციულ წინადადებაზე, რომელიც ქართულ-აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხს ეხება. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სააგენტო „როსბალტის“ ჟურნალისტს განუცხადა.

ლავროვის განცხადებით, სწორედ ამის გამო ვერ ხერხდება

პირდებოდა, როგორც მან ჩინეთს გაუწია საფიქრო ნაწარმის შემთხვევაში. ამას ლოგიკური ახსნაც აქვს, რუსეთის უმთავრესი საექსპორტო პროდუქცია ნავთობი და ბუნებრივი გაზია, რომელზეც მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით არსებობს და ამ სფეროში ექსპორტიორი ქვეყნისთვის საკუთარ პროდუქციაზე ფასის აწევის უფლების მიცემა წინადადება იქნებოდა.

თუმცა, როგორც ამერიკული მხარე აღნიშნავდა ჯერ კიდევ მოლაპარაკებების მსვლელობისას, კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ხანგრძლივი ისტორიის მქონე რუსეთ-აშშ-ს სავაჭრო დავაც იყო. საქმე ეხება გასულ საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაწყებულ უთანხმოებას, როდესაც რუსეთისთვის მიძინ პერიოდში ამერიკულმა კომპანიამ „Tyson Food“ გაყრილი ქაბობების ექსპორტი დაიწყო. იმ პერიოდში ეს რუსეთის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საკვები რეზერვო პროდუქტი იყო, მაგრამ

90-იანი წლების მინურულს რუსეთის ხელისუფლებამ იმპორტის ეს სახეობა აკრძალა, რაც კუბის ფეხების (ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის პერიოდი) კამპანიის სახელწოდებით გახდა ცნობილი. თუმცა, უთანხმოება ამით არ ამოწურულა, 2003 წელს რუსეთმა კვლავ დაანერგა ამერიკული მეფრინველეობის პროდუქციაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვერთანებისთვის მისი ზონის იარაღად გამოყენების მიზნით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვერთანების იმედგაცრუებისა თუ „დიდი რვიანის“ სამიტის პარალელურად რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულება საკუთარი ხელისუფლებისადმი დასაწყისში დასაწყისში დაწყებულ უთანხმოებას, როდესაც რუსეთისთვის მიძინ პერიოდში ამერიკულმა კომპანიამ „Tyson Food“ გაყრილი ქაბობების ექსპორტი დაიწყო. იმ პერიოდში ეს რუსეთის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საკვები რეზერვო პროდუქტი იყო, მაგრამ

„ჩვენ შევასრულეთ საკუთარ სამშვიდობო ფუნქციას და გავაკეთეთ ყველაფერი, რათა არ დავუშვათ სახსლისღვრა. არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ აფხაზეთსა და ოსეთში ათეულობით ათასი რუსეთის მოქალაქე ცხოვრობს.“ - აცხადებს სერგეი ლავროვი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ სამიტზე იმყოფება. ინტერპრესნიუსი

### მოკლად

ფოთში სანაპირო დაცვის სამსახურის იუნივერსიტეტში

საქართველოს შსს-ს სასახლეო პოლიციის სანაპირო დაცვის სამსახურის რვა წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია გუშინ ფოთის სამხედრო ნავსადგურში, ფოთის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბაზაზე ჩატარდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად მიულოცა მესაზღვრეებს დედადღელი დღე. მისი თქმით, საქართველოს შინაგარეული ძალები დღითიდღე ძლიერდება.

„ეს ძალიან ანერჯიულებს რუსეთში მაღალჩინოსნებს, მაგრამ ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ არმიის მშენებლობას“, - თქვა პრეზიდენტმა. მიხედვით განცხადებით, იგი ყოველთაში მზადაა შეხვედეს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რათა საბოლოოდ დარეგულირდეს ორი ქვეყნის ურთიერთობები.

სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი პირების გარდა, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. მიხედვით სტუმართა შორის, იყვნენ აშშ-ის, თურქეთის და საფრანგეთის საელჩოების წარმომადგენლები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საქართველოსა და თურქეთის სანაპირო დაცვის სამსახურების კატარების ერთობლივი წვრთნები. პრაიმ-ნიუსი

საქართველო კონფლიქტის ზონებში რეფერენდუმისთვის მზად არის


საქართველო მზად არის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმების ჩატარებისთვის, თუმცა გარკვეული პირობით: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უნდა დაბრუნდნენ დევნილები და ამ ტერიტორიებზე აღდგეს საქართველოს იურისდიქცია.“ - აცხადებს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი კოტე კემულარია.

უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული საზოგადოების მიერ ამ პირობების გათვალისწინებით ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები აღიარებული იქნება და მასში ეჭვის შეტანის საბაზი არაკეთილ მხარეს არ ექნება. „თუკი აღნიშნული პირობების შესრულების შემდეგ აფხაზეთი და ოსეთი ხმას მისცემენ საქართველოსაგან დამოუკიდებლად ყოფნას, თბილისი პატივისცემით მოეკიდება მათ დემოკრატიულ არჩევანს“, - განაცხადა კემულარიამ. ჯი-ეიჩ-ენის

### ორი სიტყვით

ქართულ-ოსური შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელიც თბილისში 17 ივნისს უნდა გამართულიყო, ოსურმა მხარემ ჩამალა. შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მხარეებს ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხზე უნდა ემჯდუთ. ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტის, შერეული საკონტროლო კომისიის თანადავამდომარის ბორის ჩოჩიევის განმარტებით, ოსური მხარე კატეგორიულ უარს აცხადებს თბილისში ჩასვლაზე, რადგან მას არ აქვთ უსაფრთხოების გარანტიები. საპასუხოდ, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლკი აცხადებს, რომ „ოსური მხარი მიერ დიალოგზე უარის თქმა, თანაც აბსურდული მიზეზებით, კიდევ უფრო დაძაბავს კონფლიქტის ზონაში სიტუაციას“. მედიანიუსი

რუსეთის სახელმწიფო საათაპირო კომისიის თავმჯდომარე სავარო საქმეთა საკითხებში კონსტანტინე კოსაჩენმა განაცხადა, რომ საქართველოს დეიურე ტერიტორიული მთლიანობა რუსეთის და არა საქართველოს დამსახურებაა. კოსაჩენმა სანკტ-პეტერბურგში დიდი რვიანის“ პრეს-ცენტრში თქვა, რომ საათაპირო არ განიხილავს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართებას მათი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. მიიღე თქმით, ასევე, არ განიხილება სამხრეთ ოსეთის წინადადება ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების თაობაზე. კოსაჩენის აზრით, კონფლიქტების გადაჭრის გასაღები თბილისშია. „საქართველომ პოლიტიკური საშუალებებით უნდა დაარწმუნოს აფხაზეთი და ოსეთი იცხოვრონ ერთიან სახელმწიფოში მათი ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებით“, - თქვა მან. პრაიმ-ნიუსი



### „აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმი“

„აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმი“ (აეფუ) ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციით შემოფოთებულია. ამასთან დაკავშირებით აეფუ-მა განცხადებით სანკტ-პეტერბურგში შეკრებილი „დიდი რვიანის“ სამიტის წევრებს მიმართა. განცხადებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები მოწმობს, რომ საქართველომ დაიწყო სამხრეთ ოსეთის ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მთავრული საკუთარი აგრესიული გეგმების განხორციელება. „რესპუბლიკაში სიტუაციის დესტაბილიზაციისა და შიშის ატმოსფეროს შექმნის მიზნით, მოეწყო ტერორისტული აქტების მთელი სერია, რამაც ადამიანური მსხვერპლი გამოწვია“ - აღნიშნულია განცხადებაში. იქვე ნათქვამია, რომ ტერორისტული აქტი განხორციელდა მეგობარ დნესტრისპირეთშიც. „დარწმუნებულები ვართ, რომ ახალი გამოძახილები, რომელთაზეც ჩვენს ხალხს უნევს შეტაკება, კიდევ უფრო გაამძაფრებს ბრძოლას მათი განუ-

ყოფელი უფლებისათვის“ - აღნიშნულია განცხადებაში. იქვე ნათქვამია, რომ საქართველო მუდმივად გამოდის რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონებიდან გაყვანის ინიციატივით. და ეს მაშინ, როდესაც სამშვიდობო ძალები ეფექტურად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას. განცხადებაში რუსეთის მოუწოდებენ, გამოვიდეს მშვიდობის შენარჩუნებისა და დაძაბულობის თავიდან აცილების მთავარ გარანტად. „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სანკტ-პეტერბურგში სამიტზე შეკრებილი წამყვანი სახელმწიფოები ნათლად მიუთითებენ საქართველოსა და ოლოდავთვის მათი აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და დნესტრისპირეთთან ურთიერთობების მოგვარებისათვის ძალისა და სანქციების გამოყენების მიუღებლობის შესახებ. ასევე მიუთითებენ იმაზე, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და მოლაპარაკებების გამართვის მთავარი გარანტი რუსი სამშვიდობოებია“ - ნათქვამია აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმის განცხადებაში. ინტერპრესნიუსი





# მოგზაურობა ჭავჭავიძის

პირველი პერიოდი

მიზნები და მიმართულებები თავადაც მრავალად აქვთ. მთავარი აქცენტი მაინც ქართული ენის უცოდინრობასა და ჯავახეთის ავტონომიაზე კეთდება. ჯავახეთში ქართული ენა, ფაქტობრივად, არავინ იცის. კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება რუსულია, თუმცა ვერც რუსულის ცოდნით დაიკვეხნიან. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე გლეხკაცები აცხადებენ, რომ ავტონომია მათი კეთილდღეობის გარანტია. კეთილდღეობას კი სომხური დიასპორის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ.

იქაურების არსებობის ერთადერთი წყარო კარტოფილია, რომელიც ადგილზე 28-30 თეთრი ლირს. ზაფხულში მინდორში არიან, ზამთარში - სახლში. „აქ არაფრის პერსპექტივა არაა,“ - გვითხრა სოფელ ხოსპიოს მკვიდრმა ემზარ მაქუქატიძემ, რომელსაც მართალია გვიარ ბერძნული აქვს, მაგრამ თავი ქართველად გავაცნო. ადგილობრივი სომხებისთვის იგი „ასმილირებული ბერძენია“, თუმცა თავად ასე არ მიიჩნევს. მისი, მეზობლებისა თუ ნათესავების შეილება რუსეთში არიან წასულები, ზოგი სასწავლებლად, ზოგიც - სამუშაოდ. ჯავახეთი განათლებას ძირითადად რუსეთში ან სომხეთში იღებენ. რუსეთში რჩებიან, სომხეთში - არა, რადგან სომხებს სამუშაო ადგილები თავისთვის გასჭირვებულია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში, ქართული ენის უცოდინრობის გამო, ვერ აბარებენ. ამას აპროტესტებენ, რადგან, მათი აზრით, სომხები ქართველივით ქართულს ვერასწავლიან. ახალქალაქის უნივერსიტეტში შარშან მხოლოდ ერთმა ადგილობრივმა სტუდენტმა ჩააბარა, დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული აბიტურიენტები იყვნენ, რომლებიც სწავლის დასრულების მერე, შესაძლოა, აქ დარჩნენ საცხოვრებლად, ეს კი ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობის შესაცვლელად ხდება,“ - გვითხრა ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის - „ჯემის“ წარმომადგენელმა ვააკ ჩაბალიანმა. ენის ბარიერი დასაძლევსთვის მოითხოვენ, რომ რეგიონში საქმის წარმოება სომხურ ენაზე წარმოებოდეს. ახალქალაქის მერის ნაირ ირიციანის თქმით, ეს მოსახლეობის მოთხოვნაა ხელი-სუფლებიდან, რომლის შესრულებასაც თვითმმართველობის არჩევნებამდე უკლიან.

ახალქალაქის რაიონის გამგე-



ქაჯახეთში ახლა ძალზე პოპულარულია ავტონომიაზე საუბარი.

ბელი არტურ ერემიანი მიიჩნევს, რომ „ახალქალაქელები დებილები არ არიან, რომ ქართული ვერ ისწავლიან. აქამდე საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით და შენაბამისად რუსულ ენაზე ვსაუბრობდით, ახლა კი ქართული გვჭირდება,“ - ამბობს იგი. ახალქალაქის რაიონის გამგებლის მსგავსად ქართული არც ქალაქის მერმა ნაირ ირიციანმა იცის, თუმცა ამბობს, რომ პრობლემა არაა, თუ საჭირო იქნება, ისწავლის. ისიც აღნიშნა, რომ ქართულ ენას

მისი სამი ვაჟი აუცილებლად ისწავლის. ნინოწმინდას რაიონის გამგებელი მელს ბდიოანი ფიქრობს, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ჯავახეთის მოსახლეობისთვის შედეგადად უნდა დაწესდეს. სამაგიეროდ, სწავლის დასრულების შემდეგ, ქართული ეცოდინებათ.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე არმენ ამირხანიანი აღსატურებს, რომ ქართული ენის არ-

ცოდნის პრობლემა ყველა ნაბიჯზე იჩენს თავს, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება კატეგორიული მოთხოვნით არ გამოვა. იგივეს იმეორებენ სახალხო მოძრაობა „ჯავახეთის“ და დემოკრატიული ალიანსის - „ერთიანი ჯავახეთის“ წევრებიც. „აჭარლებით დასახლებულ სოფელ გორლოვკაში თითქმის ყველა პრობლემა მოგვარებულია, ხოლო სათხეში, სადაც სომხები ცხოვრობენ, ბევრი პრობლემაა. ამდენად ამ ხალხს უჩნდება პროტესტი ამ

განსხვავების გამო,“ - გვითხრა არმენ ამირხანიანმა.

გორლოვკაში მიწები იმდენად უკანონოდა განაწილებული, რომ მხარის რწმუნებულის გოგა ხაჩიძის თქმით, იქ „აბსურდამდე მისული დარღვევებია“. აჭარლებს ეს პრობლემა ჯავახეთში გადასახლების დღიდან აქვთ. ეკომიგრანტების 20 ოჯახისთვის სახლები 1990 წელს „კოსტავას ფონდის“ წარმომადგენლებს უყიდა. დღეს მათი რაოდენობა 86-მდე გაიზარდა. პარალელურად სახლებს ფონ-



იქაურები ზაფხულისთვის ითხოვენ ქართულის შესწავლას.



წერები ქაჯახეთის სიმბოლოა.

დი „ფარვანაც“ ყიდულობდა სომეხი მოსახლეობისთვის. გორლოვკის მკვიდრის იური ვანძიძის თქმით, სახლებს თუ უყიდა, აჭარებიდან დაახლოებით 200 ოჯახს უნდა ჯავახეთში საცხოვრებლად წასვლა. რეგიონის რწმუნებულის გოგა ხაჩიძე კი ამბობს, რომ „ხელოვნურად არ უნდა დარიღვს ბალანსი, თუმცა მთიანი აჭარიდან ეკომიგრანტების ჩამოსახლება იგეგმება, ერთ-ერთ ადგილად კი ჯავახეთი მოიაზრება.“

რაც შეეხება რუსეთის ბაზის გაყვანის საკითხს, ტექნიკა საქართველოს ტერიტორიიდან 15 აგვისტომდე უნდა გაიტანონ. სამხედრო პირებს კი 2008 წლის 1 იანვრამდე შეუძლიათ აქ ცხოვრება. ქალაქში მწვანეს რასაც ნაბავ, ჭიშკარი იქნება თუ სხვა რამ, ყველაფერი რუსული ბაზიდანაა წამოღებული. ბაზის გაყვანის საკითხი ახალქალაქელებისთვის მტკიცებულ თემა რომ არის, არავინ უარყოფს. ბაზაში 400-მდე ადგილობრივი მოსახლე იყო დასაქმებული. უმუშევრად დარჩენის გარდა, მათ „გათავისუფლებულ ადგილზე“ თურქული ჯარის შემოსვლის შიშაც აქვთ.

მართალია, ჯავახეთში ზაფხული წარიღია, თუმცა პოლიტიკური ამინდია ცხელი, რასაც ახალქალაქის გამგებელი არტურ ერემიანი ჯავახეთის მოდასაყოფად ვააკ ჩაბალიანს უწოდებს. „ჩვენ ერთიანი ვართ, რა ვივით ვართ ერთიანი,“ - აღნიშნავს არტურ ერემიანი.

ჯავახეთში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას არ მოსწონს სიტყვა „ინტეგრაცია“, ემინათ სიტყვა „ასიმილაცია“, ყველას არ ესმის ავტონომიის მნიშვნელობა, თუმცა ყველა აღნიშნავს, რომ ქართველებს ეს სიტყვა ძალიან აინებთ. ვისაც ესმის, ამბობს, რომ ავტონომიის მნიშვნელობის შემთხვევაში, სომხეთის რესპუბლიკასთან შეერთებას არავინ ფიქრობს. „სომხეთის მთავრობას ურჩევნია, ჯავახეთი საქართველოს ტერიტორიაზე იყოს და ამით საქართველოსთან მიმართებაში ყოველთვის ეჭირის კოზირი,“ - აღნიშნა სომხურ ორგანიზაციათა წარმომადგენელმა ხაჩატურ სტეპანიანმა.

იმ შემთხვევაში, თუ ჯავახეთში საქმის წარმოება სომხურ ენაზე წარიღებოდა, ფიზიკურად იქნებოდა დატყუნი (აქ თურქეთის ჯარის საკითხი იგულისხმება). თუ უკეთესობისკენ შეიცვლება ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, „ჯავახეთელები“ პრობლემას დებენ, რომ ავტონომიას აღარ მოითხოვენ: „ავტონომია ჩვენი მიზანი არაა, ნონსენსის რაიონს საქართველოს სხვა მხარეებთან.“

**რატომ არ არის სახლი ჩვეულებრივი?**  
 ბინის ფართი თქვენი ბიუჯეტის შესაბამისად: 60, 120, 150, 200 კვ.მ.

■ თანამედროვე არქიტექტურა ■ გამწვანებული ეზო

**ექსტრაკომფორტული სასოფრეო სახლი ყაზბეგის გამზირზე**

**ფასი: \$ 495-დან**

თანხის გადახდა შეიძლება ეტაპობრივად საქართველოს ბანკის იპოთეკური სესხის დახმარებით

# საქართველი

**შ ა ნ ხ ა ი ტ ე ქ ს ი**

www.texxgroup.com    ტელ.: 50 94 94, 50 95 95; მობ.: 877 24 24 24

# მაცნეიერი, ვისაც მთელი კავკასია ეთაყვანება

„მინდა ჩემი სტუდენტები და ასპირანტები, ქართველები და აფხაზებიც ერთად შევეკრიბო სოხუმში, ზღვის პირას და დაიწყოთ შერიგება,“ - ამბობს აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე, აფხაზურ-ადილური ენების ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარი, რომლის აღზრდილები დღემდე მოღვაწეობენ თბილისში, სოხუმში, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთისა და ევროპის ქალაქებში. აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის 95 წლის იუბილეს მიძღვნილი შეხვედრა, რომლითაც კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა - „კავკასიური სახლი“ დაიწყო სემინარების ციკლი „ქალის როლი მეცნიერებაში“.



ქეთევან ლომთათიძე ცენტრში.

## ლელა მარბიანი

დღეს, როდესაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობა ჩიხშია შესული, როდესაც გათრეულია ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან, როდესაც რეფორმის მეცნიერების სისტემაში მტკივნეული პროცესები ახლავს, როდესაც კავკასიოლოგია, როგორც დისციპლინა, საქართველოში ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, ნამდვილად ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია (ახლათ, ცოტა დაგვიანებულიც კი) იმ ადამიანების ღვაწლის წარმოჩენა და კიდევ ერთხელ შესვენება საზოგადოებისთვის, ვინც გასულ საუკუნეში მეცნიერების მეშვეობით „გააერთიანა“ კავკასია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების გარშემო, ვინც კალმის, სიტყვისა და პირადი კეთილშობილების მისაბაძი მაგალითების საშუალებით შეძლო თბილისი გადაეკცია კავკასიური ენების შესწავლის მსოფლიოში თვალსაჩინო ცენტრად.

ვისაც დღემდე დიდ პატივს სცემენ და ეთაყვანებიან არა მხოლოდ თბილისში, არამედ სოხუმში, მახაჩყალაში, გროზნოში, ნალჩიკში - მთელს კავკასიაში.

ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი პიროვნება გახლავთ აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე - აფხაზურ-ადილური ენების თვალსაჩინო მკვლევარი და მრავალი აფხაზი ენათმეცნიერის აღმზრდელი.

ქართველური ენები, ქართველური დიალექტების კვლევა, მათი გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების შესწავლა, ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირების საკითხები, თარგმნითი ლექსიკონებისა და რაც მთავარია, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენაში აქტიური მონაწილეობა და რედაქტირობა - ეს ქალბატონი ქეთევანის ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობის სფეროებია.

მაგრამ პირველ ყოვლისა, იგი არის აფხაზურ-ადილური ენების თვალსაჩინო მკვლევარი, რომელიც აფხაზური ენის შესწავლას ბოლომდე „ჩაეკა“, ამ ურთულესი სტრუქტურისა და ისტორიის მქონე ენის არც ერთი საკითხი შეუსწავლილი არ დაუტოვებია. მან საფუძვლიანი ჩაუყარა აფხაზური ენისა და მისი დიალექტების ის-

# ინგლისური ყველასთვის სასარგებლოა

## ენა ნაუსაზიძე

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც საქართველოში არსებულმა „ბრიტმ პეტროლუმმა“ და ბრიტანეთის საბჭომ ერთობლივად განახორციელეს, გახლავთ პრეზიდენტის კომუნიკაციის ოფისის თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის სწავლების ერთწლიანი კურსი. სწავლება ივლისის თვის ბოლომდე გაგრძელდება და პროექტის თორმეტი მონაწილე, რომელთაც ბრიტანეთის ელჩმა დონალდ მაკლარენმა სპეციალური სერტიფიკატი გადასცა, ამიერიდან თავისუფლად შეძლებენ ინგლისური ენის პრაქტიკულ საკმარისობაში გამოყენებას. პროექტის მონაწილეებმა - სოფო ჩაკვეტაძემ, მაკა დარსემელიძემ, მათა კობახიძემ და სოფო ჩაკვეტაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში

უნებთ ინგლისურ ენასთან შეხება და მათი ცოდნის დონე, რომელიც პედაგოგებმა ნანა შავიშვილმა და ბარი ვოტსონმა საგრძნობლად აამაღლეს, იმის საშუალებას მისცემს, რათა მაღალკვალიფიკაციურად იმუშაონ. პროექტის მონაწილეებს ბრიტანეთის საბჭომი სახეიმიდ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატი, მიღებას ასევე ესწრებოდა გელა ჩარკვიანი, პრეზიდენტის კომუნიკაციის ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც ახლახან დაინიშნა ბრიტანეთში საქართველოს ელჩად, ასევე ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი ლენა მილოსევიჩი და მისი მოადგილე მაია ყიფშიძე. ხოლო „ბრიტმ პეტროლუმის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმომადგენელმა რუსეთის მემბრანაშვილმა აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია მომავალშიც მრავალ საინტერესო პროექტს განახორციელებს.

# თბილისი - კიევი - თბილისი

## ფიროსმანი სამშობლოში და უფრო შორს

### სოფო კილასონია

ორიოდე დღის წინ ეროვნულმა მუზეუმმა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში იმ გამოფენის გახსნა აღნიშნა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში კიეველ დამთავლიერებულს ნარეუდინა ქართულმა მხარემ. ექსპოზიცია ფიროსმანის ნამუშევრებს წარმოადგენს, გამოფენას „თბილისი - კიევი - თბილისი“ დაარქვეს და მას ჯერ კიდევ მაისში რამდენიმე ენოვანი კატალოგიც დაურთეს.

გასული წელი უკრაინაში საქართველოს წლად იყო გამოცხადებული, რომლის დასკვნით ეტაპსაც ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები წარმოადგენდა. ეს გამოფენა პირველი ექსპოზიციაა საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შექმნის შემდეგ და ერთი თვის განმავლობაში იგი დაახლოებით 61 ათასამდე დამთვალიერებელმა მოინახულა.

ფიროსმანის გამოფენამ მართლაც დიდი წარმატება და საზოგადოების ინტერესი დაიმსახურა, რისი დასტურიც სხვა თუ არაფერი ხელოვნების მუზეუმში ექსპოზიციამ ჩართული ნეროლითი რეპორტაჟები, რომელთა ავტორებიც სხვადასხვა უკრაინული ფურნალოსტები ყურნალოსტები აფხაზურ ენაში, ხოლო 1945 წელს სადოქტორო - აფხაზური ენის ტრანსკრიპციის დიალექტი.

მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მონოგრაფია, მიძღვნილი აფხაზური ენისადმი. მათ შორის: „აფხაზური დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“, „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შეადრებითი ანალიზი“, „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი აფხაზურსა და აბაზურში“ და სხვა.

„კავკასიურ სახლში“ მოწყობილ საღამოზე ყოფილი ასპირანტები და თანამშრომლები (პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე, დოც. რუსუდან ჯანაშია, პროფ.ნოდარ ანდლუაძე, პროფ. გუჩა კვაჩაველია და სხვანი), სიყვარულითა და პატივისცემით საუბრობდნენ ქალბატონ ქეთევანზე - მეცნიერზე, მომხიბვლელ ქალბატონზე, ღირსეულ პიროვნებაზე და ქემეარობ მამულიშვილზე. და რაც მთავარია, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელზე.

### ია ვაქაა

რა იქცევის საქართველოში ჩამოსვლილი უცხოელების ყურადღებას? პირველ რიგში - ძველი თბილისი, ქართული სამხარეული და სოფლად შემორჩენილი ტრადიციები. სწორედ ამ, მათი ამსახველი ფოტოების გამოფენა გაიმართა ჯი ემ სი ჯგუფის რესტორნი „ქალაქში“, რომელთა ავტორები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უზრალო ტურისტები არიან.

თუმცა ფოტოგამოფენა სახელწოდებით „უცხოელების თვალით დახაზული საქართველო“ იმ ვერ გვეუბნება. ჩვენ კი მისი შეხვება გვერიდებოდა. გამოშვებისას ერთი რამ დაგვაბარა, ის, რაც ყველაზე მეტად ადარდებს აფხაზეთის და აფხაზეთის მოყვარულ ქალბატონს: „ისევე ერთმანეთს უნდა დაფუხავდეთ ჩვენ - ქართველები და აფხაზები“.

ქველმოქმედება კი შემდეგში მდგომარეობა: ბრიტანეთის თვამუშევრები აუქციონის წესით უნდა გაყიდულიყო, ხოლო შემოსული თანხა თბილისის ორი წარჩინებული სტუდენტის ამერიკაში სწავლის საფასურის გადასახდე-



ამზადებს. თუმცა სანამ ამისთვის დაინწყება აქტიური მსჯელობა და საუბრები, წინ ზაფხულია, ანუ ყველაზე ხელშემშლელი ფაქტორები მუზეუმის საგამოფენო ტერმინალში, უკვე რა ხანაა, რაც კულტურის მსოფლიო პროცესებში მნიშვნელოვან ნიაღვრებს ახორციელებს და საინტერესო გამოფენებით ანებიერებს საკუთარ საზოგადოებას. თუმცა კიევი არ გახლავთ ის ერთადერთი სადგური, სადაც ქართული მხატვრობა კრიტიკისა და აქამდე უცნობი შემფასებლის წინაშე გამოიფინება. პარიზი, ლონდონი, ნიუ იორკი - ეს ქალაქები და მათი საგამოფენო ცენტრები, ის ახალი სამიზნეებია, რომლისთვისაც ეროვნული მუზეუმის ოპტიმიზმსა და იმედიანი უში სხვადასხვა ექსპოზიციებს მო-

გვიტორა, რომ ფიროსმანის კიევი გამოფენა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად გახლავთ მუზეუმის საგამოფენო დარბაზშია გამოფენილი, პირველი ნაბიჯია იმ დიდი გამოფენის გამო, რომ იქ დიდი და როგორც ამბობენ ხოლმე „აპოკალიფსი“ რემონტი იწყება.

ამ ეტაპზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა და რატომ უნდა ეროვნული მუზეუმის „ავტორები“ მუზეუმის საგამოფენო დარბაზის ახლად და მართლაც შეთავაზებული კვლევების მდგომარეობა. ... და თან როგორ ღორთქიფანდის საუბარი ყველაფერს ოპტიმიზმსა და იმედიანი უში სხვადასხვა ექსპოზიციებს...

გი, რომელიც ამ ექსპოზიციას მიეკუთვნება, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად გახლავთ მუზეუმის საგამოფენო დარბაზშია გამოფენილი, პირველი ნაბიჯია იმ დიდი გამოფენის გამო, რომ იქ დიდი და როგორც ამბობენ ხოლმე „აპოკალიფსი“ რემონტი იწყება.

# არ გაიყიდა ერთი, არ გაიყიდა ორი, არ გაიყიდა სამი!

## ამერიკელი მხატვრის საქველმოქმედო ვნებები



მაიკლ ბრიტინგემი აუქციონის წამყვანთან და სტუდენტთან ერთად.

თვალთ მაქვს ნანახი და ისე აევიწიება მთელი მუშაობა, რომ ჩემი ნამუშევრები ძვირი ღირს. ამიტომ მათი აუქციონზე გაყიდვა დასაწყისიდანვე, სადაც მინიმალური ფასის დადების საშუალება მომეცა. ახლა ჩემში ორი „მე“ იბრძვის: ერთი მუშაობა, რომ ეს ნახატები ქველმოქმედებისთვის უნდა გაყიდეს, მეორე კი ძალიან არ უნდა მათთან განშორება“, - განაცხადა მაიკლ ბრიტინგემმა აუქციონის დაწყებამდე.

...აუქციონის მიმდინარეობისას კი მხატვრის ემოციები სრულიად შეიცვალა, მისი ალტკინება მისის თოვლითი სადღაც გაქრა...

აუქციონის წამყვანი, მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი მთელი თავისი არტისტული მონაცემების დემონსტრირებით (ცდილობდა, მისტერ ბრიტინგემის მხატვრობა აუქციონის მონაწილეთათვის მოედროსა წესების სრული დაცვით - ვარსკვლავების უსტი რაოდენობის საშუალება არა აქვთ. ამ ღონისძიებით სპეციალური ფონდი დაფუძნდა, რომელიც ანალოგიური პროექტებით კვლავ გაგრძელდება ქველმოქმედებას.

რას ხატავს მაიკლ ბრიტინგემი? - იმას, რასაც მასავით უცხოელები ფოტოფიურზე აღებუდებენ - ჩვენი სამშობლოს უკიდურესი

ბრიტინგემის შემოქმედების ნაყოფი? - პასუხი მარტივია: არავის მივიღებ. ბევრი მუშაობა, რომ ჩემი ნამუშევრები ძვირი ღირს. ამიტომ მათი აუქციონზე გაყიდვა დასაწყისიდანვე, სადაც მინიმალური ფასის დადების საშუალება მომეცა. ახლა ჩემში ორი „მე“ იბრძვის: ერთი მუშაობა, რომ ეს ნახატები ქველმოქმედებისთვის უნდა გაყიდეს, მეორე კი ძალიან არ უნდა მათთან განშორება“, - განაცხადა მაიკლ ბრიტინგემმა აუქციონის დაწყებამდე.

მაგრამ მისი ხევნა არავის მივიღებ... ორი ადამიანის გარდა არავინ მოინდომა მინიმალური თანხის გადახდა ამ არამეცნიერული ფერებით შესრულებულ და რაღაც მისტიკურ-კოსმორ-ნაზაფიურული იდეით გამსჭვალულ ნახატებში. ნურც ქველმოქმედებისთვის თანხის მიღება, საგამოცემლო სახელ „ჯორჯიან თაიმის“ ხელმძღვანელმა შეიძინა, მეორე - აუქციონის მონაწილე ქალბატონმა. რატომ არ გაიყიდა მაიკლ

## ივერია მოტორსი

■ **თვითმძღვლები, სატვირთოები, სპეციალური სატვირთოები, მაღალი ტვირთამწოდების, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.**

■ **ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში გარანტიით**

■ **თვითმძღვლები, სატვირთოები, სპეციალური სატვირთოები, მაღალი ტვირთამწოდების, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.**

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49

DEZA DDC DSC SDC CSUDE

DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT

DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE

AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACION

**seco**

Staatsekretariat für Wirtschaft

Secretariat d'Etat à l'Economie

Segretariato di Stato dell'economia

State Secretariat for Economic Affairs

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა მხატვრულ მოხელეებს სასწავლო კურსზე „ადამიანთა უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი“.**

კურსი ჩატარდება 2006 წლის 30 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე თბილისში ფენევის „საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის“ მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 22 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**www.cabir.org/applications**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ფენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ალი არბაის ელექტრონული ფოსტით:

applications@cabir.org.

# ავტომობილის პროექტი

## MAN

## TEGETA MOTORS

## TBC BANK

## TBC LEASING



სამსახურის მანქანა

მსოფლიოს უმსხვილესი, გერმანული მანქანათმშენებელი კომპანიის MAN Nutzfahrzeuge AG-ის ოფიციალური პარტნიორი საქართველოში TEGETA TRUCK & BUS გთავაზობთ MAN-ის როგორც ახალ, ასევე ნახარ ტექნიკას, აბრეშოვ ავტოსატარაშობო ნაწილებს და ტექნიკურ მომსახურებას.

- ავტომანქანები სატვირთო გადაზიდვებისათვის
- ავტომანქანები სამშენებლო სამუშაოებისათვის
- სპეციალური დანიშნულების ტექნიკა
- ავტოსატარაშობო ნაწილები
- ტექნიკური მომსახურება



ტექნიკის შექმნა შესაძლებელია როგორც საბანკო სესხის, ასევე ლიზინგის საშუალებით, რომლის მომსახურებაც კლიენტებს „თი-ბი-სი ლიზინგი“ გაუწევს. დაფინანსების ვადაა 3-დან 5 წლამდე, რომლის დროსაც კლიენტს სხვა დამატებითი გირაო არ მოეთხოვება, სადაც სესხის უზრუნველყოფა შექმნილი ტექნიკით ხდება. სესხის შესახებ განაცხადის დამუშავების ვადა მხოლოდ 2-დან 7 დღეა.

აღნიშნული ავტომობილი მომსახურება კლიენტს შესაძლებლობას მისცემს, მსოფლიოში აღიარებული და მაღალხარისხიანი სატრანსპორტო საშუალება შეიძინოს გაქონილურად გამარტივებული და კომფორტული სქემის საშუალებით.

- 100% დაფინანსება
- თანხის მიღების გამარტივებული სქემა
- სესხის განხილვის ვადა მხოლოდ 2-7 დღე
- არავითარი სხვა დამატებითი მოთხოვნები





## აფიშა

17 ივლისი

---

**კინო**

**„ამირანი“**  
„სიცივარული კუნძული“  
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00

**მცირე დარბაზი**  
პედრო ალმოდოვარი  
„დაბრუნება“  
დასაწყისი: 16.00, 18.00; 20.00, 22.00

**„რუსთაველი“**  
„მანქანები“  
„X მენ“  
„ანწყვეტილები“  
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00; 20.00, 22.00

---

**გალერეა**

„კოპალა“  
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა  
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**ხელოვნების მუზეუმი**  
ფირისმანის ექსპოზიცია  
თბილისი - კიევი - თბილისი

---

**მუსიკა**

**ეთნოგრაფიული მუზეუმი**  
„არტ-გენი“  
სალამოს პროგრამა:  
კლასიკური მუსიკა  
დასაწყისი: 19.00  
ლამის პროგრამა:  
ქართული შემეცნებით-დოკუმენტული ფილმის ჩვენება.

### სანატ-პეტარბარკის დიდი დრამატული თეატრი

ტოვსტონოვოვის სახელობის სანატ-პეტარბურგის დიდი დრამატული თეატრი 70-ე საგასტროლო სეზონს ქარველი რეჟისორის, თემურ ჩხეიძის სპექტაკლით გახსნის. ნოვოსიბირსკში დიდი დრამატული თეატრი გასტროლებს ალექსანდრე პუშკინის პიესას „პორის გოდუნოვს ნარმოადგენს.“ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი თემურ ჩხეიძე. დამდგმელი მხატვარია გიორგი ალექსი-მესხიშვილი, კომპოზიტორი კი გია ყანჭელია. თემურ ჩხეიძემ პიესის აქცენტები გადააწვავა და თუკი პუშკინისეულ პიესაში მთავარი მოქმედი გმირი ხალხი იყო, პიესის ჩხეიძისეულ ინტერპრეტაციაში პორის გოდუნოვია. **ჯი-იუ-ენი**

### ახრალი მხატვრის გამოფენა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი უცნობი კოლექციების ექსპოზიციას აგრძელებს.

19 ივლისს, ეროვნული მუზეუმის ი.კრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი („ქარვასლა“) ებრაელი მხატვრის შალომ (სოლომონ) კობოშვილის (1876-1941) პერსონალურ გამოფენას და მის ნამუშევართა პირველ სრულ კატალოგს წარმოადგენს.

გამოფენა შალომ კობოშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს ეძღვნება. კობოშვილი 1876 წელს ახალციხეში დაიბადა. მის ნამუშევრებში ჭარბობს XIX საუკუნის ბოლოდროინდელი ახალციხის ცხოვრება, ებრაელთა ყოფა, ადამ-ნებსები, რიტუალური სცენები, სინაგოგის თემა, ცეკვის, ხელოსნობის და ვაჭრობის ფანრული სიუჟეტები. მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა 1940 წელს, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოეწყო.

1991-1992 წწ. კობოშვილის ოთხი ნამუშევარი გატანილი იყო ისრაელში, გამოფენაზე „ოქროსი საწმისის ქვეყანაში“, რომელიც თელ ავივში ნაუმ გოლდმანის სახელობის ებრაელთა დისპორის მუზეუმში მოეწყო. 1998 წელს საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600 წლის იუბილსთან დაკავშირებით, მხატვრის 25 ნამუშევარი, სხვა ექსპონატებთან ერთად წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ გალერეაში გამოფენაზე „26 საუკუნე ერთად“.

შალომ კობოშვილის ცნობილი ორმოცდაათხუთმეტევი ნამუშევარი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული.

გამოფენის და კატალოგის მომზადების პროცესში ნამუშევრებს რესტავრაცია და კონსერვაცია ჩაუტარდა. ყველა სურათისთვის დამზადდა ჩარჩოები და პასპარტუები. **ინტერპრესიუსი**

### ვაკის თეატრალური სარდაფი

ვაკის თეატრალური სარდაფი აჭარბო გასტროლებს მართავს. საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის ინიციატივით, საქართველოს ისტორიის მოტივებზე შექმნილი ლიტერატურული სპექტაკლის - „ქრონიკის“ ჩვენება, ჯერ ხელგაწაურის რაიონის პატრიოტულ ბანაკში გაიმართება. ამავე სპექტაკლს, ბათუმელი მაყურებელი, ბათუმის სახელმწიფო თეატრში იხილავს.

„ქრონიკის“ სცენარის ავტორია გურამ ქართველიშვილი. დამდგმელი რეჟისორია ოთარ ევაძე. სპექტაკლში ვაკის თეატრალური სარდაფის 15 მსახიობი მონაწილეობს. **ინტერპრესიუსი**

### საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის შესატყვისად**

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 18 000 ლარით. კონკურსის საერთო ბიუჯეტი 36 000 ლ.

კომისია არ განიხილავს ეროვნული კინოცენტრის კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებს და იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაფინანსება სხვა წყაროებიდან პროექტის განვითარებისთვის.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ივლისი, 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4, ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail o www.filmcenter.ge

## ახალი

# სილამაზის დედოფალი

ნინო კალანდაძე „მის საქართველო“ ერთი წლის განმავლობაში იქნება



ყოფილი თავმჯდომარე და „მის საქართველო“

### ნა ვაკვა

ნინო კალანდაძე ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ მისი სახელი უკვე მთელმა საქართველომ იცის და სულ მალე მსოფლიოც გაიგებს, როდესაც 2006 წლის „მის საქართველო“ „მის მსოფლიოზე“ გაემგზავრება.

სილამაზის კონკურსი „მის საქართველო 2006“ ტრადიციულად ბათუმში ჩატარდა. სწორედ აქ ეჯიბრებოდა ერთმანეთს სილამაზისა და მოხდენილობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი 30 ლამაზმანი, რომელთა შორის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ მხოლოდ ერთი გახდება სილამაზის დედოფალი.

ეს ილბიანი კი ნინო კალანდაძეა. მან წელს დაამთავრა სკოლა და ინგლისურ და ესპანურ ენებს ეუფლება. ჯერჯერობით აბიტურიენტია, თუმცა სწავლის გაგრძელებას მომავალი წლიდან სამხატვრო აკადემიაში აპირებს.

„ძალიან მინდა დიზაინერი გახდეთ და საკუთარი სახლი შექმნა. ვფიქრობ, სილამაზის კონკურსზე მიღწეული წარმატება ამ ოცნებებს უფლებს. ჯერჯერობით აბიტურიენტია, თუმცა სწავლის გაგრძელებას მომავალი წლიდან სამხატვრო აკადემიაში აპირებს.“

## ანჯელინა ჯოლი

ცნობილი ჰოლივუდელი ანჯელინა ჯოლი, ბრიტანელი რეჟისორის მაიკლ უინტერბოტომის ახალ ფილმ „დიდ გულში“ ითამაშებს. ფილმი მოგვითხრობს ამერიკელ ჟურნალისტზე - სამხრეთ აზიელ დენიელ პერლზე, რომელიც Wall Street Journal-ის ბიუროს ხელმძღვანელობდა.

2002 წლის იანვარში ჟურნალისტი ისლამისტმა ექსტრემისტებმა შეიპყრეს, რომლებიც ადანაშაულებდნენ მას, თითქმის CIA-ს თანამოაზრე იყო, რის შემდეგაც აწამეს. 38 წლის ჟურნალისტის სხეული იპოვეს ამავე წლის ზაფხულში და გადააგზავნეს ამერიკაში დასაკრძალად.

ჯოლი ითამაშებს ჟურნალისტის ქვრივს მარიან პერლის. ფილმში სწორედ მისი მემუარებია ჩადებული, რომელშიც გამოცემულია, როგორ ეძებდა ქმარს დიდი ხნის განმავლობაში და როგორი ნამება გამოიარა. „მე მიხარია, რომ ანჯელინა ითამაშებს ჩემს როლს ფილმში, მე აღფრთოვანებული ვარ იმ საქმით, რომელსაც მან თავი მიუძღვნა“ - ამბობს მარიანი.

მაიკლ უინტერბოტომი არის ისეთი ფილმების ავტორი, როგორებიცაა „კეთილი იყოს მობრძანება სარაევოში“ და „გზა გუანტანამოში“. 31 წლის ჯოლისთვის ეს პირველი ფილმია მას შემდეგ, რაც მას ამა წლის 27 მაისს გოგონა შეეძინა. მსახიობის მეგობარი და ბავშვის მამა 42 წლის ბრედ პიტის ფილმის პროდიუსერია. გადაღებები დაახლოებით ხუთი კვირის შემდეგ უნდა დაიწყოს.

იყო. როგორც ჩანს, წინასწარ გრძობდა, რომ ადრე ლამაზ გოგონაში მე ამომარჩევდნენ. ცხადია, სცენაზე გასვლისას ძალიან ველავედი, მაგრამ ოჯახის წევრების გამხნელებს ვგრძობდი“, - განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ნინო კალანდაძის სილამაზის შემჩნევა და გამოაქარავება წელს მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს დაეკისრა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს პირველი ლედი სანდრა რუმეჯიბიძე (ყოფილი თავმჯდომარე), მომღერალი ლიზა ბაგრატიონი, ბიზნესმენი მაია რჩეულიშვილი, იტალიის ელჩი ფაბრიციო რომანო, ს/ს „მადნეულის“ გენერალური დირექტორი კობა ნაყოფია, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძე, პარლამენტარი გივი ნერეთელი და ბათუმის მერი ირაკლი თაყაიშვილი. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში მსჯელობდნენ და საბოლოოდ საქართველო არჩევინი გააკეთეს.

პირველი „ვიცე მის საქართველო“ ნოდება წელს ანა გიორგეშვილი და იმედი ცენტრი“ 2003 წლიდან ატარებს. ამ კონკურსის გამარჯვებულები ავტომატურად „მის მსოფლიოს“ მონაწილეები ხდებიან. მარიანა, განსაკუთრებული წარმატებისთვის ირინა ონაშვილის გარდა ჯერ არავის მიუღწევია, მთავარი მაინც ამ პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობაა.

საქართველოს ყველაზე ლამაზი გოგონების გარდა თუორიმ გამოავლინა მის ფოტოგენურობა, ინტელექტი, გრაცია, ელევანტურობა, ექსტრავაგანტულობა და მის „კოსმოპოლიტანი“.

წლევიანდელი „მის საქართველო“ საქველმოქმედო აქციადაც ითვალისწინებდა. კონკურსის მეორე ლედი ნინო კალანდაძე, სანდრა რუმეჯიბი და სამოდლო სააგენტო „იმეჯ ცენტრის“ ხელმძღვანელი ია კინმარიშვილი მახინჯაურის ბავშვთა საცანკო გაემგზავრნენ და ბავშვებს უამრავი საჩუქარი ჩაუტანეს.

თავისი წილი საჩუქრები ნინო კალანდაძემაც მიიღო: „პოუნდაი გეტსი“ კომპანია „კოკა-კოლასთან“ და უამრავი ფასიანი საჩუქარი სადედოფლო გვირგვინის გარდა ამიერიდან ნინოს საკუთრებაა. გარდა ამისა, საქართველოს ტურისმის დეპარტამენტმა პირველ სამ ადვლზე გასული გოგონები ტურისტული საზურგებით დააჯილდოვა.

„მის საქართველოს“ საავტენტო „იმეჯ ცენტრი“ 2003 წლიდან ატარებს. ამ კონკურსის გამარჯვებულები ავტომატურად „მის მსოფლიოს“ მონაწილეები ხდებიან. მარიანა, განსაკუთრებული წარმატებისთვის ირინა ონაშვილის გარდა ჯერ არავის მიუღწევია, მთავარი მაინც ამ პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობაა.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

# ნაუტილუსი

**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი

■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი

■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფესულა

■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78

**ტელ:** 22 56 26  
23 56 26

**E-mail:** info@nautilus.ge  
reception@nautilus.ge

## სიხლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა ალმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაეწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი**, **ანდრო სამხუთაშვილი**, **ლალი მუხიანაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებათ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიოლური ასთმა; კუჭის და თორმეტკვარა ნაწლავის წყულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსასხროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით ალმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**  
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**  
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიში ვეინბერგერი ჩატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ლაბების კორექციით

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
